№ 44637

Date 17.05.2021

RMG GOLD

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
შპს „RMG Gold"-ის აღმასრულებელი დირექტორის
ბატონი თორნიკე ლიპარტიას

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შპს „RMG Gold"-ს დაგეგმილი აქვს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყდრისის საბადოს მადნის გადამუშავებისთვის საწარმოო მოედნების გაფართოება.

შპს „RMG Gold"- ზე გაცემული „საყდრისის" გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად საქმიანობისთვის გამოყოფილი ძთლიანი ტერიტორიის ფართობი შეადგენს 68,16 ჰა-ს, აქედან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემამდე გროვული გამოტუტვის მოედნების მიერ დაკავებული ტერიტორია შეადგენდა დაახლოებით 20.57 ჰა-ს, ხოლო მოედნების გაფართოებისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ფართობი შეადგენდა დაახლოებით 9.68 ჰა-ს. კომპანია, გეგმავს მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის, წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიისა და საწარმოს წლიური წარმადობის შეუცვლელად საქმიანობისათვის გამოყოფილი სანებართვო ტერიტორიის ეტაპობრივ ათვისებას და საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში გამოტუტვის მოედნების მოწყობას.

უნდა აღინიშნოს, დაგეგმილი საქმიანობის პროცესში არ იცვლება და იგივე რჩება:

- გზშ-ს ანგარიშში მოცემული გამოსატუტ მოედნებზე დასაყრელი მადნების მოცულობები;
- მადნის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა;
- გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები და შედეგები;
- შემარბილებელი ღონისძიებები.

დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში დამატებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული პროცედურის გაცლის საჭიროების მიზნით 2021 წლის N წერილით კომპანიამ მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილით კომპანია ვალდებულია წარადგინოს სკრინინგის განცხადება

№ 8473
17 05 2021
ელ. ფოსტა

შპს RMG Gold, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
LLC RMG Gold, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;
ელ-ფოსტა: info@richmetalsgroup.com; ვებ-გვერდი: www.richmetalsgroup.com
Email: info@richmetalsgroup.com; Web-page: www.richmetalsgroup.com

ამასთან, კომპანიას დაგეგმილი აქვს საყდრისის გროვული გამოტუტვის საწარმოო ტერიტორიაზე არსებულ ავტოგასამართ უბანზე, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა (არსებული რეზერვუარების შეცვლა). დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ავტო გასამართი სადგურის ტერიტორიაზე არსებული 2 ერთეული (თითო 22 ტ მოცულობის) მობილური რეზერვუარის ნაცვლად სტაციონალური რეზერვუარების თითო - 50 ტ მოცულობით მოწყობას, რომლის შედეგად ავტო გასამართი სადგური განკუთვნილი იქნება 79 ტონა დიზელის საწვავის ნაცვლად, ჯამში 135 ტ დიზელის საწვავის შესანახად. აღსანიშნავია რომ, რეზერვუარების მოწყობის შედეგად არ შეიცვლება ავტოგასამართი სადგურის წარმადობა -108 000 ტ დიზელი წელიწადში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

შპს „RMG Gold"-ის

აღმასრულებელი დირექტორი

თორნიკე ლიპარტია

RMG Gold LLC, GEORGIA
RMG GOLD
* 225359947 *